

შპს ლატეკი
ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

შპს ლატეკი

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგებაზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	4
ფულადი სახსრების მოძრაობა	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	
1.ზოგადი ინფორმაცია	6
2.კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	10
4.ძირითადი საშუალებები	10
5.მარაგები	11
6.სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11
7.ფული და ფულის ექვივალენტები	11
8.სავაჭრო ვალდებულებები	11
9.შემოსავალი	11
10.რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	11
11.საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	12
4.ბრუნვები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	12
5. ფუნქციონირებადობა	12
6. ბალანსის შემდგომი მოვლენები	12

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა

	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები(შენიშვნა7)	643892	336329	323612
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები(შენიშვნა6)	359788	299953	231018
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	263615	1099332	1465999
მარაგები	916673	930388	471321
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა (შენიშვნა5)	916673	930388	471321
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	869	144	652
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	0
ძირითადი საშუალებები (შენიშვნა4)	606918	613953	607206
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	2791755	3280099	3099808
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები(შენიშვნა8)	4340	3450	6157
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	1	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	0	0	508977
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	5319	4545	2298
სულ ვალდებულებები	9660	7995	517432
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	200	200	200
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)(მოხდა კორექტირება 2020წ-13417ლარით, 2021წ-336ლარით)	2781895.00	3271904.00	2582176.00
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	2782095	3272104	2582376
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2791755	3280099	3099808
სულ მოკლევადიანი აქტივები	2164528	2677634	2514859
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	9660	7370	6157

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები

	31/12/2022	31/12/2021
ნეტო ამონაგები	2485314	3300613
საქონლის გაყიდვიდან(შენიშვნა9)	2485314	3300613
მომსახურების გაწევიდან	0	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება(შენიშვნა10)	-2131635	-2129941
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	353679	1170672
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	7541
დასაქმებულთა ანაზღაურება	-375150	-376150
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-12475	-12584
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	0	0
იჯარის ხარჯი	0	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი(შენიშვნა11)	-80134	-77808
სულ საოპერაციო ხარჯები	-467759	-459001
საოპერაციო მოგება	-114080	711671

გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:

ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და		
სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	-20952	-18609
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-2575	2779
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი		
ოპერაციებიდან	-137607	695841
მოგების გადასახადის ხარჯი	-6533	-113
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-144140	695728

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):

ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების)		
გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთ.და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების		
გადაფას. რეზერვი	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-144140	695728
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	3272104	2582376
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა',		
კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპ. გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-345869	-6000
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2782095	3272104

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა

	31/12/2022	31/12/2021
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	662541	60382
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-5451	-25835
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-328575	-6000
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	328515	28547
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-20952	-15830
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	336329	323612
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	643892	336329

დირექტორი: მარინე გოზალიშვილი----- 30.09.2023

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ლატეკი“ (205187091) წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის ქვეშ მოქმედ კომპანიას, რომლის ძირითადი საქმიანობაა საცალო ვაჭრობა სამედიცინო და ორთოპედიული საქონლით სპეციალიზებულ მაღაზიებში, საბითუმო ვაჭრობა ფარმაცევტული საქონლით. კომპანიის დამფუძნებელია: მარინე გოზალიშვილი (01008020724) - 100% წილის მფლობელი კომპანიის გენერალური დირექტორია მარინე გოზალიშვილი (01008020724). მარეგისტრირებული ორგანოა თბილისის საგადასახადო ინსპექცია. იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, მოსაშვილის ქ., #1, ბ.64.

შეფასების და წარდგენის ვალუტა

კომპანიის სამუშაო და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება სამუშაო ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად - ანგარიშგების თარიღისთვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მუხლში - “სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული წმინდა მოგება/(ზარალი)”. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

მომზადების საფუძველები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვით. ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადდება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, შეფასებები პერიოდულად გადაიხედება, რაც გავლენას ახდენს აქტივების და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილება გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. ამ ფინანსურ ანგარიშგებასა და გამოყენებული ინფორმაციის სისწორეზე და სისრულეზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, ჯგუფი იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველი აღიარება

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით). თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსური აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალ ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას. სავალ ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (ანუ გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით.

იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალეები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს.

გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სამეურნეო სუბიექტის მიერ მიღებული წლიური მოგება 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში არ იბეგრება. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, შეწირულობებზე, ზენორმატიულ დანაკარგებზე, ბიზნესთან დაუკავშირებელ დანახარჯებზე და სხვა.

დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით და რომელ პერიოდზე მოხდა დივიდენდის გადახდა.

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტი, კერძოდ ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

ჩვენი ფირმა არის დღგ-ს გადამხდელი. აქვს დასაბეგრი, დაუბეგრავი (ჩათვლის უფლებით გარეშე გათავისუფლებული) და ჩათვლის უფლებით გათავისუფლებული ბრუნვები.

საქონლის და მომსახურების შეძენისას ხდება დღგ ჩათვლა წინა წლის დასაბეგრი, დაუბეგრავი ბრუნვების პროპორციის პროცენტის შესაბამისად და წლის ბოლოს ვახდენთ წლიური პროპორციის გაანგარიშებას, მომავალი წლისთვის.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, დეპოზიტებს ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების - ძირითადი საშუალებები - შესაბამისად. ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით.

თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა.

შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში. ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხორციელდება წრფივი მეთოდით

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა მოგება/ზარალი

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი

არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ (ა) მოსალოდნელია, რომ ამ აქტივისგან მოსალოდნელია

ეკონომიკური მოგების მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო

(რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები

აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით

შემცირებული ღირებულებით. ამორტიზაციის გამოთვლა ხდება ცვეთის კლებადი ნაშთის

მეთოდით, ცვეთის ნორმა განისაზღვრება 15%-ით. კომპანიის არამატერიალური აქტივები

წარმოადგენს კომპიუტერულ პროგრამებს.

მარაგები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო

ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ

შემძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს,

რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო

მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ

პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების ნეტო

სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად,

როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო

ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანუღირების)

თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო

სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

საწარმო მარაგის ჩამოწერას ახორციელებს საშუალო შეწონილი მეთოდით.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის საწარმო განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება

აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, საწარმო აფასებს აქტივის ანაზღაურებად

ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება

ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, საწარმო ამცირებს საბალანსო ღირებულებას

ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს

გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ამონაგების აღიარება

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური

ღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია კომპანიის მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო

ფასდათმობა (ასევე ვადაზე ადრე გადახდასთან დაკავშირებული და სხვა ფასდათმობები)

საქონლის გაყიდვა - საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება

მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ

ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

მომსახურების გაწევა - კომპანია ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების

შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ

შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა

კომპანიაში.

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან

მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირება მომავალში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები (ყველა მიღებული ან გადახდილი საკომისიოს ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარიგების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგების არასაოპერაციო ნაწილში.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, პრემიები, ბონუსები და თანამშრომელთა არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ თანამშრომელისაგან

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც იგი გამოცხადდება.

დივიდენდები

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკიდან გამომდინარე, დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე.

საოპერაციო იჯარა

კომპანია, როგორც მოიჯარე - იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარისთვის. საოპერაციო იჯარა წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და წარდგება „რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების“ ან „ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯების“ მუხლში თავისი შინაარსის მიხედვით.

კომპანია, როგორც მეიჯარე - საიჯარო შემოსავალი წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის შემოსავლად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ანგარიშგებაში, როდესაც ადსგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას. ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობასთან. კომპანიაში ანარიცხები აღიარდება, როდესაც:

- ა) კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად;
- ბ) სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა;

გ)შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში.

ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებაზე თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან სარგებლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად გადაიხედება.

შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

წინა წლების კორექტირებები და რეკლასიფიკაციები

გარკვეული კორექტირებები განხორციელდა 2019 წლის 31 დეკემბრით და 2020 წლის 31 დეკემბრით და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. დასრულებულ ფინანსურ ანგარიშგებებში, კერძოდ დაკორექტირდა დაგროვებითი პენსიის დარიცხული თანხები. ასევე განხორციელდა რეკლასიფიკაციები ამავე თარიღებით დასრულებული წლის მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, რათა ის თანხვედრაში ყოფილიყო 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებულ ანგარიშგებასთან.

შენიშვნა1

	2021	2020
გაუნაწილებელი მოგება	3272240	2595593
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი კორექტირება	-336	-13417
	3271904	2582176

4. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა	ოფის.აღჭ	ავჯი,ინვენ	სატრ. საშ.	ჯამი
ღირებულება 01.01.2021	70014	516889	27937	15005	18365	648210
შემენა		17168	8117	551		25835
გაყიდვა			(1153)		-8519	-9672
ღირებულება 31.12.2021	70014	534056	34901	15555	9846	664372
შემენა			2751	2700		5451
გაყიდვა			(3723)	-370		-4093
ღირებულება 31.12.2022	70014	534056	33928	17885	9846	665730
შემენა						
გაყიდვა						
დაგროვილი ცვეთა 01.01.2021	0	(18993)	(13819)	-5929	-2262	-41003
დარიცხული ცვეთა		(4966)	(3572)	-1225	-2821	-12584
ძ.ს. გაყიდვა			1038		2130	3168
დაგროვილი ცვეთა 31.12.2021	0	(23960)	(16353)	-7153	-2954	-50420

დარიცხული ცვეთა	(5359)	(3775)	-1371	-1969	-7116
მ.ს. გაყიდვა		3723	359		4083
დაგროვილი ცვეთა 31.12.2022	0	(29319)	(16404)	-8165	-58811
ნაღრენი ღირებულება 1.01.2021	70014	497895	14119	9076	607206
ნაღრენი ღირებულება 31.12.2021	70014	510096	18548	8402	613953
ნაღრენი ღირებულება 31.12.2022	70014	504737	17524	9720	606918

5. მარაგები

			31.12.2022	31.12.2021	01.01.2021
გასაყიდად გამიზნული საქონელი			916673	930388	471321
სხვა მარაგები			869	144	652
სულ მარაგები:			917542	930532	471973

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

			31.12.2022	31.12.2021	01.01.2021
სავაჭრო მოთხოვნები			359788	299953	231018
სავაჭრო მოთხოვნები თანამშრომლების მიმართ					
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები			263615	1099332	146999

7. ფული და ფულის ექვივალენტები

			31.12.2022	31.12.2021	01.01.2021
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში			113	1651	1735
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში			363147	331131	317353
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში			280632	3547	4524
სულ ფული და ფულის ექვივალენტები			643892	336329	323612

8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

			31.12.2022	31.12.2021	01.01.2021
სავაჭრო ვალდებულებები			4340	3450	6157
მიღებული ავანსები			5320	4545	2298
სხვა მიმდინარე ვალდებულებები					508977
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები			9660	7995	517432

9. შემოსავალი

	31.12.2022	31.12.2021
შემოსავალი რეალიზიციიდან	2502644	3319150
გაყიდული საქონლის დაბრუნება და ფასდათმობა	-17330	-18537
სხვა შემოსავალი		7541
სულ შემოსავალი	2485314	3308154

10. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	31.12.2022	31.12.2021
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	-2131635	-2129941
უკან დაბრუნებული საქონლის თვითღირებულება	-11442	-11009
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-2143077	-2140950

11.საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	31.12.2022	31.12.2021
შრომის ანაზღაურება	-375150	-376150
ცვეთა და ამორტიზაცია	-12475	-12584
მივლინების ხარჯი	-14313	-3044
კომუნალური ხარჯი	-3324	-11151
დაცვის ხარჯი	-1434	1383
მიწოდების ხარჯი	-10421	-11639
კომუნიკაციის ხარჯი	-2377	-1923
დაზღვევის ხარჯი	-3936	-4321
მიმდინარე რემონტის ხარჯი	-4639	-4656
საკანცელარიო ხარჯი	-451	-518
წარმომადგენლობითი ხარჯი	-1386	1761
ბანკის ხარჯი	-4541	-7982
დაგროვებითი პენსიის ხარჯი	-4607	-5157
სხვა საგადასახადო ხარჯი	-5626	-5628
სხვა ხარჯი	-23079	-24933
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	-467759	-466542

12.ბრუნვები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

ბრუნვები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან შპს-ს არ აქვს

სულ გაცემული ანაზღაურება	2022	2021
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება	268000	279500
ჯამი:	268000	279500

13.ფუნქციონირებადობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებით, რომ კომპანია არის

ფუნქციონირებადი საწარმო და პროგნოზირებად მომავალში გააგრძელებს ფუნქციონირებას.

14.ბალანსის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა განმარტება ფინანსურ ანგარიშგებაში საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.

